მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება; პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	2025 წლის
	05 02 02 01		ათასი ლარი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება -ფუნქციონირებს შემდეგი წრე საბიბლიოთეკო გაერთიანების შემადგენლობაში შედის ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა და 16 სასოფლო ბიბლიოთეკა. <ul style="list-style-type: none"> • ლიტერატურის წრე; • რესტავრაციის წრე. 		
მოსალოდნელი შედეგი	მომხმარებელთა სრული უზრუნველყოფა წიგნებითა და შესაბამისი ინფორმაციით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა	2025 წლის
	05 02 02 02		ათასი ლარი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის საკლუბო გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ ახალქალაქის საკლუბო გაერთიანება: რომლის შემადგენლობაშიც შედის ახალქალაქის კულტურის სახლი და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული კლუბები, რომლის რაოდენობაც შეადგენს 32 კლუბს, ასევე მომავალი წლიდან იგეგმება კლუბის გახსნა სოფელ ვარევანშიც. კლუბებში მოქმედი სამხატვრო კოლექტივები მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ფესტივალებში. ახალქალაქის კულტურის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები: <ul style="list-style-type: none"> • სომხური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჯავახკი“. • ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მურჯი“. • ქართული თეატრი; • სომხური თეატრი; • თოჯინების თეატრი; • ხალხური ინტრუმენტალური ანსამბლი; 		



- საესტრადო ანსამბლი;
- საბავშვო თეატრი.
- სულ: 200 მოსწავლე

კლუბებში გაერთიანებულია ანსამბლები "ჯავახვი" და "მურჯი", აგრეთვე თოჯინების თეატრი, და ა.შ. რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებისათვის ხელოვნების მიმართულებით უნარ - ჩვევების განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგი

ხელოვნების სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების აღზრდა და განვითარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	2025 წლის ათასი ლარი
	05 02 02 03		234.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფორტეპიანო • კლარნეტი • აკორდეონი • გიტარა <p>სასიმდერო და ვოკალურ - ინსტრუმენტალური უნარ - ჩვევების შესწავლას ეუფლება 180 მოსწავლე</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ხატვის, მერწყვის, ქარგვისა და სხვა სახელოვნებო დარგის შესწავლა, კულტურის პოტენციალის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	2025 წლის ათასი ლარი
	05 02 02 04		112.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ სამხატვრო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფერწერა • ნახატი • დეკორატიული ხელოვნება • კომპოზიცია • ხელოვნების ისტორია <p>სულ: 35 მოსწავლე ხატვას, დეკორატიულ ხელოვნებას, ქარგვას, ფერწერას და სხვა სახელოვნებო დარგს ეუფლება 35 მოსწავლე, რაც ხელს უწყობს მათ კულტურულ განვითარებას</p>		
მოსალოდნელი შედეგი	კლასიკური მუსიკის, სასიმდერო და ვოკალურ - ინსტრუმენტული შესწავლა, კულტურის პოტენციალის გაზრდა.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელშეწყობა	ათასი ლარი
	05 02 02 05		71.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა(ა)იპ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოდგენილია არქეოლოგიური ექსპონატები, ეროვნული სამოსი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში გამოჩენილი ადამიანების ძველი ხელნაწერები, სურათები, ნუმიზმატიკა, და ძველი საყოფაცხოვრებო ნივთები.		
მოსალოდნელი შედეგი	უფრო მეტი ვიზიტორი გაეცნობა ადგილობრივ კულტურასა და ისტორიას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციასა და ტურიზმის განვითარებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	აშუღის სკოლის ხელშეწყობა	2025 წლის ათასი ლარი
	05 02 02 06		41.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალქალაქის სააშუღო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ სააშუღო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● აშუღის ● დოლი ● ფორტეპიანო ● დუდუკი ● აკორდეონი <p>სასიმღერო და ვოკალურ - ინსტრუმენტული უნარ - ჩვევების შესწავლას ეუფლება 25 მოსწავლე</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სასიმღერო და ვოკალურ - ინსტრუმენტული უნარ - ჩვევების განვითარება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მომავლის სახლის ხელშეწყობა	2025 წლის ათასი ლარი
	05 02 02 07		101.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მომავლის სახლი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ინგლისური ენა; ● ქართული ენა; ● სომხური ენა; ● სამუსიკო; ● მძივების ქსოვა; ● თოჯინები; ● ქარგვა; ● ხელმარჯვე ოსტატები. <p>მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებსა და ღონისძიებებში; ქვეპროგრამის მიზანია: კულტურათმშორისი დიალოგის განვითარება- გაღრმავებას, რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ეთნოკულტურის და ტრადიციების შენარჩუნება - განვითარება, მონაწილეთა შემოქმედებითი უნარ - ჩვევების გამვლენა, უფრო მეტ ახალგაზრდას უჩნდება ხელოვნებისადმი ინტერესი.</p>		



მოსალოდნელი შედეგი	მომავლის სახლი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; სადაც ხელოვნებას ეუფლება 130 მოსწავლე.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საინფორმაციო პროგრამა	2025 წლის
	05 02 04		ათასი ლარი
			65,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ფინანსდება საინფორმაციო პროგრამა, როგორც მედია ისე საგაზეთო მომსახურებები. რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს გაეცნოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს.		
მოსალოდნელი შედეგი	იყვნენ სრულად ინფორმირებულები ქვეყანაში არსებული მდგომარეობით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა	2025 წლის
	05 02 05		ათასი ლარი
			7,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალურ „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საბჭოს“ სამოქმედო გეგმის აქტივობების განსახორციელება.		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი უზრუნველყოფილი იქნას:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ხარჯები, ქალისა და მამაკაცის სტრატეგია და სამოქმედო გეგმით დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსება. • ადგილობრივი თვითმმართველობის განმახორციელებელი მოქალაქეების საჭიროებები- თვითმმართველობის პროცესში ქალისა და მამაკაცის საჭიროებებისა და ინტერესების თანაბრად გათვალისწინებით, • ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ მიმართულებებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობისათვის აუცილებელი გარემოს შექმნა; • კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებისა და სპორტის სფეროში ქალისა და მამაკაცის დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამების განხორციელება და ორივე სქესის წარმომადგენელთა თანაბარი ხელმისაწვდომობა. • სოციალურ სფეროში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა, მათ შორის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მართლაც მშობლებისთვის უმაღლესი განათლების სწავლის საფასურის უზრუნველყოფა, რათა მათ შეძლონ შრომის ბაზარზე შესაბამისი სამუშაოს პოვნა ოჯახის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.. • ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის ხელშეწყობა, • ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. 		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,054.8 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის ათასი ლარი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,054.8
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	377.7
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	377.7
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	-
06 02	სოციალური დაცვა	1,677.1
06 02 01	სასწრაფო შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯი	682.0
06 02 03	ახალდაბადებულების დახმარება	200.0
06 02 04	ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის	605.5
06 02 05	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	59.6
06 02 06	მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ფასიანი სწავლების დაფინანსება	50.0
02 06 10	ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად	80.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2025 წლის ათასი ლარი
	06 01 01		377.7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში,</p> <p>არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:</p> <p>ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;</p>		



პროგრამის აღწერა	<p>ბ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;</p> <p>გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი;</p> <p>დ) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებულებისათვის;</p> <p>ე) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;</p> <p>ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;</p> <p>ზ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაცია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p>
პროგრამის მიზანი	<p>მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება</p>

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის და საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მქონე, (რომელსაც ნებართვაში საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრული აქვს ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) მოქალაქეებისთვის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – დევნილებისათვის, გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.



პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 01	ექსტრემალური შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯი	2025 წლის ათასი ლარი 682,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მოსახლეობის სამედიცინო-სადიაგნოსტიკო გამოკვლევები (გარდა ონკოლოგიური დაავადების მქონე მოსახლეობისა) დაფინანსება :</p> <ul style="list-style-type: none"> • მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის მოქმედი სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 100 000-ის ჩათვლით დაუფინანსდება გამოკვლევები, მოთხოვნილი თანხის 70%-მდე, წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა; • შშმ ბავშვებს დაუფინანსდება გამოკვლევები, მოთხოვნილი თანხის 100%-მდე, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა; • 18 წლამდე ასაკის ბავშვებს დაუფინანსდება გამოკვლევები, მოთხოვნილი თანხის 30%-მდე, წლის განმავლობაში არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. <p>მოსახლეობის გეგმური და ურგენტული ქირურგიული მომსახურებების (გარდა ონკოლოგიური დაავადების მქონე მოსახლეობისა) დაფინანსდება :</p> <p>ა) მოქალაქეს, რომელიც დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის მოქმედი სარეიტინგო ქულის რაოდენობა შეადგენს 0-დან 100 000-ის ჩათვლით დაუფინანსდება ქირურგიული მომსახურება მოთხოვნილი თანხის 50%-მდე, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა.</p> <p>ბ) მოქალაქეს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“; ქვეპუნქტი და მის მიერ გადასახდელი თანხა აღემატება 800 (რვაას) ლარს, დაფინანსება მოხდეს შემდეგი ლიმიტებით:</p> <p>ბ.ა) თუ გადასახდელი თანხა არის 800-დან 1000 ლარამდე, ერთჯერადად დაუფინანსდება მოთხოვნილი თანხის , 30%-მდე არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა;</p> <p>ბ.ბ) თუ გადასახდელი თანხა აღემატება 1000 (ერთი ათასი) ლარს, ერთჯერადად დაუფინანსდება მოთხოვნილი თანხის 30%-მდე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა;</p> <p>ბ.გ) თუ გადასახდელი თანხა აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს, ერთჯერადად დაუფინანსდება მოთხოვნილი თანხის 30%-მდე არაუმეტეს, 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარისა.</p> <p>ბ.დ) თუ გადასახდელი თანხა აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს, ერთჯერადად დაუფინანსდება მოთხოვნილი თანხის 30%-მდე, არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა.</p> <p>ბ.ე) შშმ ბავშვებს დაუფინანსდება მოთხოვნილი თანხის 100%-ამდე 1500 ლარამდე.</p> <p>ონკოლოგიური დაავადების მქონე მოსახლეობას დაუფინანსდება ამ დაავადებისთვის გათვალისწინებული გამოკვლევები, სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობა მოთხოვნილი გადასახდელი/გადახდელი თანხის 100%-მდე, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა.</p> <p>მოსახლეობის მკურნალობის ხარჯები</p> <p>მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის მოქმედი სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 100 000-ის ჩათვლით წლის განმავლობაში დაუფინანსდება სამედიცინო მომსახურება მოთხოვნილი თანხის 50%-მდე, არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა.</p> <p>შშმ ბავშვებს, ასევე დაუნის, აუტისტური სპექტრის მქონე ან სხვა ფსიქიკური აშლილობის და განვითარების ეტაპების დაყოვნების მქონე ბავშვებს დაუფინანსდება მკურნალობა, მოთხოვნილი თანხის 100%-მდე, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა.</p> <p>18 წლამდე ასაკის ბავშვებს დაუფინანსდება მკურნალობა, მოთხოვნილი თანხის 30%-მდე, წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.</p> <p>თუ მოქალაქის მკურნალობის ხარჯი აღემატება 5000 ლარს დაფინანსდება ერთჯერადად გადასახდელი თანხის 30 % არაუმეტეს 2000 ლარისა.</p>		



მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ხარისხის გაუმჯობესება		
პროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა დახმარება	2025 წლის
	06 02 03		ათასი ლარი
			200,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დახმარება, ახალშობილის შექმნის შემთხვევაში. პირველი ბავშვის შექმნისას 350, მეორე ბავშვის შექმნაზე ოჯახი მიიღებს 400 ლარს, მესამე ახალშობილისთვის – 500 ლარი, მეოთხე ახალშობილისთვის – 800 ლარი, შემდგომი ყოველი ახალშობილისთვის 300 ლარით მეტი.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის	2025 წლის
	06 02 04		ათასი ლარი
			605,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ფინანსური დახმარება სოციალურად დაუცველ ოჯახების 0-100 000 ქულამდე დახმარების ოდენობა 200-1500 ლარ, სოციალური მდგომარეობიდან და დამატებით გამიჯვნილი გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე პროგრამით სარგებლობენ: მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი შვილი)- ერთჯერადათ 400 ლარიდან და შემდგომ ყოველ შვილზე დაემატოს 100 ლარი , იძულებით გადაადგილებულ პირები – დევნილები ერთჯერადათ 300 ლარამდე 34 ბენეფიციარი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ 18 წლამდე ასაკის თითოეულ დედით და მამით ობოლ ბავშვს, ასევე მამის და დედისგან მიტოვებულ ბავშვებზე. დახმარება ერთჯერადათ და განისაზღვრება თითოეულ ობოლ ბავშვზე 800 ლარის ოდენობით 4 ბენეფიციარი.</p> <p>მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირები გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობის მქონე, დამოუკიდებლად გადაადგილების პრობლემების მქონე (ეტლით მოსარგებლე) , ფსიქოლოგიური დაავადებების მქონე , მუდმივად მწოლიარე (საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ მომვლელს) , მხედველობით (უსინათლო) ან/და სმენადაქვეითებულ , ცერებრალური დამბლით, დაუნით და აუტიზმით დაავადებულ ბენეფიციარებს, 1500 ლარის ოდენობით.</p> <p>შშმ ბავშვები 18 წლამდე 500 ლარის ოდენობით, ერთჯერადათ,</p> <p>დიალიზის კურსზე მყოფი პირები-ერთჯერადათ 2000 ლარის ოდენობით ,</p> <p>100 წელს გადაცილებული პირები ერთჯერადათ 500 ლარის ოდენობით .</p> <p>ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ასევე საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება, ქვეპროგრამით მოსარგებლენი არიან საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>სოციალურად დაუცველი ოჯახების, მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება</p> <p>მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.</p> <p>შეზღუდული შესაძლებლობის და განსაკუთრებული მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა, სიცოცხლის ხარისხის ამაღლება.</p> <p>ჰემოდიალიზის სეანსზე მყოფი მოქალაქეების სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.</p>		



ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია, სიცოცხლის ხარისხის ამაღლება. სადღესასწაულო განწყობის შექმნა, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	2025 წლის
	06 02 05		ათასი ლარი
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები ოჯახების დახმარება საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი ფართის დაზიანების, საცხოვრებლად გამოუსადეგარ, ავარიულ სახლში/ბინაში ცხოვრების შემთხვევაში ერთჯერადად 1500 ლარამდე სამუშაო ჯგუფის ადგილზე შეფასების შედეგად.</p> <p>ეს ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართზე ხანძრით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 2000 ლარამდე საცხოვრებელ ფართზე, ხოლო არასაცხოვრებელ ფართზე არაუმეტეს 500 ლარი.</p> <p>.ასევე ამ ქვეპროგრამით სარგებლობენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახები ან/და მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც ცხოვრება უხდებათ ღია ცის ქვეშ, არაადამიანურ პირობებში ან ნებისმიერ სხვა ცხოვრებისთვის მიზანშეუწონელ ადგილას უზრუნველყოფილი იქნებიან დროებითი საცხოვრებელი ფართით ან ქირით თვეში არაუმეტეს 200 ლარი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ხანძრისას ასევე საცხოვრებლად უფარვის სახლების მქონე ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. სხვადასხვა გარემოებებით უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა და სოციალური მდგომარეობის ნაწილობრივ შემსუბუქება.</p> <p>პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ფასიანი სწავლების დაფინანსება	2025 წლის
	06 02 06		ათასი ლარი
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: აკრედიტებულ სასწავლებლებში და პროფესიულ კოლეჯებში სწავლის (საბაკალავრო და „1+4“ პროგრამა) საფასურის დაფინანსება, დახმარება გაეწევა სტუდენტებს (27წლამდე) შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე (მკვეთრად, მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხი), დედამამით ობლები, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი ოჯახებიდან (4 ან მეტი შვილი, 27 წლამდე), სოცილურად დაუცველი ოჯახებიდან, სტუდენტებს იმ ოჯახებიდან, რომელ ოჯახშიც არის სამი ან მეტი სტუდენტი, მარტოხელა მშობელი სტუდენტები. დაფინანსდება სწავლის საფასურის 50% არაუმეტეს 1125 ლარის.</p> <p>აგრეთვე ა(ა)იპ – სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება შემდეგ კატეგორიებისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შვილები, შშმ ბავშვები, მრავალშვილიანი ოჯახებიდან ბავშვები, დედით ან/და მამით ობოლი ბავშვები, სოცილურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სტუდენტების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რადენობის ზრდა.		



პროგრამის დასახელება	კოდი	ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად	2025 წლის
	06 02 10		ათასი ლარი
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გათვალისწინებულია ფინანსური დახმარების გაწევა მედიკამენტებისათვის, შესაბამისი საჭიროების მქონე პირების სამედიცინო საშუალებებით უზრუნველყოფა. დახმარება გაიცემა სოციალურად დაუცველ პირებზე 100 000 ლარამდე არაუმეტეს 600 ლარი, შშმ ბავშვებზე არაუმეტეს 1000 ლარი, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებზე არაუმეტეს 1200 ლარი, ოფთალმოლოგიური დაავადების მქონე პირებზე ავასტინის და ვიზიქიუს ინექციის საჭიროების შემთხვევაში არაუმეტეს 1200 ლარი. შშმ მკვეთრად, მნიშვნელოვნად გამოხატული სტატუსის მქონე პირებს მედიკამენტების შესაძენად 600 ლარამდე.		
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარება-დასვენებაში ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.		

მუხლი 18. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

თავი III. ახალქალაქის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 19. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	26,385.9	43,924.1	31,856.8	12,067.3	46,837.8	37,255.4	9,582.4
	მომუშავეთა რიცხოვნება	439.0	800.0	801.0	-	816.0	816.0	-
	ხარჯები	13,829.2	17,885.9	17,399.7	486.2	19,903.0	19,463.9	439.1
	შრომის ანაზღაურება	2,529.1	2,868.0	2,868.0	-	3,181.3	3,181.3	-
	საქონელი და მომსახურება	3,581.3	4,500.3	4,132.0	368.3	5,477.2	5,038.1	439.1
	პროცენტები	29.4	21.6	21.6	-	9.0	9.0	-



	სუბსიდიები	5,548.0	6,922.2	6,922.2	-	8,178.2	8,178.2	-
	გრანტები	107.0	175.0	175.0	-	50.0	50.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,428.2	1,654.7	1,654.7	-	1,652.5	1,652.5	-
	სხვა ხარჯები	606.2	1,744.1	1,626.2	117.9	1,354.8	1,354.8	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,476.2	25,957.7	14,376.6	11,581.1	26,854.3	17,711.0	9,143.3
	ვალდებულებები	80.5	80.5	80.5	-	80.5	80.5	-
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,077.8	6,014.9	6,014.9	-	6,447.7	6,447.7	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	176.0	171.0	171.0	-	186.0	186.0	-
	ხარჯები	4,653.6	5,661.9	5,661.9	-	6,346.9	6,346.9	-
	შრომის ანაზღაურება	2,529.1	2,868.0	2,868.0	-	3,181.3	3,181.3	-
	საქონელი და მომსახურება	1,841.5	2,264.2	2,264.2	-	2,585.5	2,585.5	-
	პროცენტები	29.4	21.6	21.6	-	9.0	9.0	-
	გრანტები	37.0	30.0	30.0	-	30.0	30.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	10.0	32.0	32.0	-	30.0	30.0	-
	სხვა ხარჯები	206.6	446.1	446.1	-	511.1	511.1	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	343.7	272.5	272.5	-	20.3	20.3	-
	ვალდებულებები	80.5	80.5	80.5	-	80.5	80.5	-
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4,967.9	5,694.7	5,694.7	-	6,095.8	6,095.8	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	176.0	171.0	171.0	-	186.0	186.0	-
	ხარჯები	4,624.2	5,422.2	5,422.2	-	6,075.5	6,075.5	-
	შრომის ანაზღაურება	2,529.1	2,868.0	2,868.0	-	3,181.3	3,181.3	-
	საქონელი და მომსახურება	1,841.5	2,264.2	2,264.2	-	2,585.5	2,585.5	-
	გრანტები	37.0	30.0	30.0	-	30.0	30.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	10.0	32.0	32.0	-	30.0	30.0	-
	სხვა ხარჯები	206.6	228.0	228.0	-	248.7	248.7	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	343.7	272.5	272.5	-	20.3	20.3	-
01 01 01	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,270.9	1,390.1	1,390.1	-	1,534.0	1,534.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	34.0	36.0	36.0	-	36.0	36.0	-
	ხარჯები	1,201.1	1,390.1	1,390.1	-	1,530.0	1,530.0	-
	შრომის ანაზღაურება	818.9	930.0	930.0	-	981.3	981.3	-



	საქონელი და მომსახურება	178.6	232.1	232.1	-	300.0	300.0	-
	სხვა ხარჯები	203.6	228.0	228.0	-	248.7	248.7	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	69.8	-	-	-	4.0	4.0	-
01 01 02	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია	3,517.0	4,304.6	4,304.6	-	4,561.8	4,561.8	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	135.0	135.0	135.0	-	150.0	150.0	-
	ხარჯები	3,248.3	4,032.1	4,032.1	-	4,545.5	4,545.5	-
	შრომის ანაზღაურება	1,567.4	1,938.0	1,938.0	-	2,200.0	2,200.0	-
	საქონელი და მომსახურება	1,630.9	2,032.1	2,032.1	-	2,285.5	2,285.5	-
	გრანტები	37.0	30.0	30.0	-	30.0	30.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	10.0	32.0	32.0	-	30.0	30.0	-
	სხვა ხარჯები	3.0	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	268.7	272.5	272.5	-	16.3	16.3	-
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	180.0	-	-	-	-	-	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	7.0	-	-	-	-	-	-
	ხარჯები	174.8	-	-	-	-	-	-
	შრომის ანაზღაურება	142.8	-	-	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	32.0	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.2	-	-	-	-	-	-
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	109.9	320.2	320.2	-	351.9	351.9	-
	ხარჯები	29.4	239.7	239.7	-	271.4	271.4	-
	პროცენტები	29.4	21.6	21.6	-	9.0	9.0	-
	სხვა ხარჯები	-	218.1	218.1	-	262.4	262.4	-
	ვალდებულებები	80.5	80.5	80.5	-	80.5	80.5	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	-	216.1	216.1	-	260.4	260.4	-
	ხარჯები	-	216.1	216.1	-	260.4	260.4	-
	სხვა ხარჯები	-	216.1	216.1	-	260.4	260.4	-
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	-	2.0	2.0	-	2.0	2.0	-



	ხარჯები	-	2.0	2.0	-	2.0	2.0	-
	სხვა ხარჯები	-	2.0	2.0	-	2.0	2.0	-
01 02 03	მფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	109.9	102.1	102.1	-	89.5	89.5	-
	ხარჯები	29.4	21.6	21.6	-	9.0	9.0	-
	პროცენტები	29.4	21.6	21.6	-	9.0	9.0	-
	ვალდებულებები	80.5	80.5	80.5	-	80.5	80.5	-
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13,135.8	28,171.2	16,439.6	11,731.6	28,802.4	20,188.7	8,613.7
	მომუშავეთა რიცხოვნება	8.0	8.0	9.0	-	9.0	9.0	-
	ხარჯები	1,280.2	3,008.3	2,857.8	150.5	3,139.1	3,139.1	-
	საქონელი და მომსახურება	840.0	1,637.7	1,605.1	32.6	2,149.8	2,149.8	-
	სუბსიდიები	144.8	170.3	170.3	-	262.8	262.8	-
	სხვა ხარჯები	295.4	1,200.3	1,082.4	117.9	726.5	726.5	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,855.6	25,162.9	13,581.8	11,581.1	25,663.3	17,049.6	8,613.7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,931.1	17,370.2	7,622.5	9,747.7	16,043.9	9,049.0	6,994.9
	ხარჯები	552.7	1,072.8	1,072.8	-	1,536.4	1,536.4	-
	საქონელი და მომსახურება	552.7	987.7	987.7	-	1,536.4	1,536.4	-
	სხვა ხარჯები		85.1	85.1	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,378.4	16,297.4	6,549.7	9,747.7	14,507.5	7,512.6	6,994.9
02 01 01	გზების რეაბილიტაცია	6,378.4	16,382.5	6,634.8	9,747.7	14,507.5	7,512.6	6,994.9
	ხარჯები	6,378.4	85.1	85.1	-	-	-	-
	სხვა ხარჯები		85.1	85.1	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		16,297.4	6,549.7	9,747.7	14,507.5	7,512.6	6,994.9
02 01 02	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	552.7	987.7	987.7	-	1,536.4	1,536.4	-
	ხარჯები	552.7	987.7	987.7	-	1,536.4	1,536.4	-
	საქონელი და მომსახურება	552.7	987.7	987.7	-	1,536.4	1,536.4	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,361.0	1,275.6	1,253.6	22.0	848.8	848.8	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	3.0	4.0	4.0	-	4.0	4.0	-



	ხარჯები	39.8	63.4	63.4	-	72.7	72.7	-
	საქონელი და მომსახურება	-	10.0	10.0	-	-	-	-
	სუბსიდიები	39.8	53.4	53.4	-	72.7	72.7	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,321.2	1,212.2	1,190.2	22.0	776.1	776.1	-
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	1,315.5	1,222.2	1,200.2	22.0	776.1	776.1	-
	ხარჯები	-	10.0	10.0	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	-	10.0	10.0	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,315.5	1,212.2	1,190.2	22.0	776.1	776.1	-
02 02 02	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	45.5	53.4	53.4	-	72.7	72.7	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	3.0	4.0	4.0	-	4.0	4.0	-
	ხარჯები	39.8	53.4	53.4	-	72.7	72.7	-
	სუბსიდიები	39.8	53.4	53.4	-	72.7	72.7	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.7	-	-	-	-	-	-
02 03	გარე განათება	441.4	583.6	583.6	-	660.1	660.1	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	5.0	5.0	5.0	-	5.0	5.0	-
	ხარჯები	366.7	416.9	416.9	-	570.1	570.1	-
	საქონელი და მომსახურება	261.7	300.0	300.0	-	380.0	380.0	-
	სუბსიდიები	105.0	116.9	116.9	-	190.1	190.1	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	74.7	166.7	166.7	-	90.0	90.0	-
02 03 01	გარე განათების რეაბილიტაცია	336.4	466.7	466.7	-	470.0	470.0	-
	ხარჯები	261.7	300.0	300.0	-	380.0	380.0	-
	საქონელი და მომსახურება	261.7	300.0	300.0	-	380.0	380.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	74.7	166.7	166.7	-	90.0	90.0	-
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	105.0	116.9	116.9	-	190.1	190.1	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	5.0	5.0	5.0	-	5.0	5.0	-
	ხარჯები	105.0	116.9	116.9	-	190.1	190.1	-
	სუბსიდიები	105.0	116.9	116.9	-	190.1	190.1	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3,188.7	6,356.5	5,514.3	842.2	8,082.5	7,385.7	696.8



	ხარჯები	309.9	1,291.6	1,259.0	32.6	938.5	938.5	-
	საქონელი და მომსახურება	20.2	336.1	303.5	32.6	233.4	233.4	-
	სხვა ხარჯები	289.7	955.5	955.5	-	705.1	705.1	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,878.8	5,064.9	4,255.3	809.6	7,144.0	6,447.2	696.8
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	3,188.7	6,356.5	5,514.3	842.2	8,082.5	7,385.7	696.8
	ხარჯები	309.9	1,291.6	1,259.0	32.6	938.5	938.5	-
	საქონელი და მომსახურება	20.2	336.1	303.5	32.6	233.4	233.4	-
	სხვა ხარჯები	289.7	955.5	955.5	-	705.1	705.1	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,878.8	5,064.9	4,255.3	809.6	7,144.0	6,447.2	696.8
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	392.4	1,172.1	1,172.1	-	1,351.7	1,351.7	-
	ხარჯები	11.1	25.5	25.5	-	21.4	21.4	-
	საქონელი და მომსახურება	5.4	3.9	3.9	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	5.7	21.6	21.6	-	21.4	21.4	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	381.3	1,146.6	1,146.6	-	1,330.3	1,330.3	-
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	821.2	1,413.2	293.5	1,119.7	1,815.4	893.4	922.0
	ხარჯები		138.1	20.2	117.9	-	-	-
	სხვა ხარჯები		138.1	20.2	117.9	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	821.2	1,275.1	273.3	1,001.8	1,815.4	893.4	922.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	978.7	1,040.2	1,040.2	-	1,309.4	1,309.4	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	57.0	59.0	59.0	-	59.0	59.0	-
	ხარჯები	978.7	1,035.0	1,035.0	-	1,309.4	1,309.4	-
	სუბსიდიები	978.7	1,035.0	1,035.0	-	1,309.4	1,309.4	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		5.2	5.2	-	-	-	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	907.1	944.9	944.9	-	1,169.0	1,169.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	53.0	53.0	53.0	-	53.0	53.0	-
	ხარჯები	907.1	939.7	939.7	-	1,169.0	1,169.0	-



	სუბსიდიები	907.1	939.7	939.7		1,169.0	1,169.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა		5.2	5.2		-		
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	71.6	95.3	95.3	-	140.4	140.4	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	4.0	6.0	6.0		6.0	6.0	
	ხარჯები	71.6	95.3	95.3	-	140.4	140.4	-
	სუბსიდიები	71.6	95.3	95.3		140.4	140.4	
04 00	განათლება	3,356.5	4,367.2	4,031.5	335.7	5,740.8	4,772.1	968.7
	მომუშავეთა რიცხოვნება	198.0	275.0	275.0	-	275.0	275.0	-
	ხარჯები	3,125.4	3,930.6	3,594.9	335.7	4,570.1	4,131.0	439.1
	საქონელი და მომსახურება	591.5	399.1	63.4	335.7	439.1	-	439.1
	სუბსიდიები	2,533.9	3,531.5	3,531.5	-	4,131.0	4,131.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	231.1	436.6	436.6	-	1,170.7	641.1	529.6
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,538.9	3,571.2	3,571.2	-	4,131.0	4,131.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	198.0	275.0	275.0		275.0	275.0	
	ხარჯები	2,533.9	3,531.5	3,531.5	-	4,131.0	4,131.0	-
	სუბსიდიები	2,533.9	3,531.5	3,531.5		4,131.0	4,131.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.0	39.7	39.7		-		
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	512.1	460.3	460.3	-	641.1	641.1	-
	ხარჯები	336.8	63.4	63.4	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	336.8	63.4	63.4	-	-		
	არაფინანსური აქტივების ზრდა	175.3	396.9	396.9	-	641.1	641.1	
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	305.5	335.7	-	335.7	968.7	-	968.7
	ხარჯები	254.7	335.7	-	335.7	439.1	-	439.1
	საქონელი და მომსახურება	254.7	335.7	-	335.7	439.1	-	439.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.8	-			529.6		529.6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,049.2	2,330.8	2,330.8	-	2,482.7	2,482.7	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	264.0	264.0	-	264.0	264.0	-
	ხარჯები	2,003.4	2,255.0	2,255.0	-	2,482.7	2,482.7	-
	საქონელი და მომსახურება	308.3	199.3	199.3	-	302.8	302.8	-



	სუბსიდიები	1,586.6	1,859.4	1,859.4	-	2,097.3	2,097.3	-
	გრანტები	70.0	145.0	145.0	-	20.0	20.0	-
	სხვა ხარჯები	38.5	51.3	51.3	-	62.6	62.6	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	45.8	75.8	75.8	-	-	-	-
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1,012.6	1,181.1	1,181.1	-	1,258.5	1,258.5	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	103.0	103.0	-	103.0	103.0	-
	ხარჯები	1,007.9	1,132.7	1,132.7	-	1,258.5	1,258.5	-
	საქონელი და მომსახურება	88.7	28.5	28.5	-	130.0	130.0	-
	სუბსიდიები	832.8	943.2	943.2	-	1,094.0	1,094.0	-
	გრანტები	70.0	145.0	145.0	-	20.0	20.0	-
	სხვა ხარჯები	16.4	16.0	16.0	-	14.5	14.5	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.7	48.4	48.4	-	-	-	-
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	179.8	229.3	229.3	-	164.5	164.5	-
	ხარჯები	175.1	189.5	189.5	-	164.5	164.5	-
	საქონელი და მომსახურება	88.7	28.5	28.5	-	130.0	130.0	-
	გრანტები	70.0	145.0	145.0	-	20.0	20.0	-
	სხვა ხარჯები	16.4	16.0	16.0	-	14.5	14.5	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.7	39.8	39.8	-	-	-	-
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	832.8	951.8	951.8	-	1,094.0	1,094.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	103.0	103.0	-	103.0	103.0	-
	ხარჯები	832.8	943.2	943.2	-	1,094.0	1,094.0	-
	სუბსიდიები	832.8	943.2	943.2	-	1,094.0	1,094.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		8.6	8.6	-	-	-	-
05 01 02 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	283.0	327.0	327.0	-	396.0	396.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	42.0	42.0	-	42.0	42.0	-
	ხარჯები	283.0	327.0	327.0	-	396.0	396.0	-
	სუბსიდიები	283.0	327.0	327.0	-	396.0	396.0	-
05 01 02 02	საჭადრაკო სპორტის განვითარების	59.8	69.3	69.3	-	75.0	75.0	-



	ხელშეწყობა							
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	6.0	6.0		6.0	6.0	
	ხარჯები	59.8	69.3	69.3	-	75.0	75.0	-
	სუბსიდიები	59.8	69.3	69.3		75.0	75.0	
05 01 02 03	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	315.8	350.5	350.5	-	390.0	390.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	39.0	39.0		39.0	39.0	
	ხარჯები	315.8	350.5	350.5	-	390.0	390.0	-
	სუბსიდიები	315.8	350.5	350.5		390.0	390.0	
05 01 02 04	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	174.2	205.0	205.0	-	233.0	233.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	16.0	16.0		16.0	16.0	
	ხარჯები	174.2	196.4	196.4	-	233.0	233.0	-
	სუბსიდიები	174.2	196.4	196.4		233.0	233.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა		8.6	8.6		-		
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,036.6	1,149.7	1,149.7	-	1,224.2	1,224.2	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	161.0	161.0		161.0	161.0	
	ხარჯები	995.5	1,122.3	1,122.3	-	1,224.2	1,224.2	-
	საქონელი და მომსახურება	219.6	170.8	170.8	-	172.8	172.8	-
	სუბსიდიები	753.8	916.2	916.2	-	1,003.3	1,003.3	-
	სხვა ხარჯები	22.1	35.3	35.3	-	48.1	48.1	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	41.1	27.4	27.4	-	-	-	-
05 02 01	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	232.5	190.4	190.4	-	148.1	148.1	-
	ხარჯები	191.4	168.6	168.6	-	148.1	148.1	-
	საქონელი და მომსახურება	162.7	101.0	101.0	-	100.0	100.0	-
	სუბსიდიები	6.6	32.3	32.3		-		
	სხვა ხარჯები	22.1	35.3	35.3		48.1	48.1	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	41.1	21.8	21.8		-		
05 02 02	კულტურის სფეროს	747.2	889.5	889.5	-	1,003.3	1,003.3	-



	დაწესებულებების ხელშეწყობა							
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	161.0	161.0	-	161.0	161.0	-
	ხარჯები	747.2	883.9	883.9	-	1,003.3	1,003.3	-
	სუბსიდიები	747.2	883.9	883.9	-	1,003.3	1,003.3	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		5.6	5.6	-	-	-	-
05 02 02 01	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	120.4	134.4	134.4	-	151.7	151.7	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	31.0	31.0		31.0	31.0	
	ხარჯები	120.4	134.4	134.4	-	151.7	151.7	-
	სუბსიდიები	120.4	134.4	134.4		151.7	151.7	
05 02 02 02	საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა	204.9	259.1	259.1	-	290.7	290.7	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	57.0	57.0		57.0	57.0	
	ხარჯები	204.9	257.1	257.1	-	290.7	290.7	-
	სუბსიდიები	204.9	257.1	257.1		290.7	290.7	
	არაფინანსური აქტივების ზრდა		2.0	2.0		-		
05 02 02 03	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	184.1	210.3	210.3	-	234.8	234.8	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	29.0	29.0		29.0	29.0	
	ხარჯები	184.1	210.3	210.3	-	234.8	234.8	-
	სუბსიდიები	184.1	210.3	210.3		234.8	234.8	
05 02 02 04	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	74.0	84.5	84.5	-	112.0	112.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	12.0	12.0		12.0	12.0	
	ხარჯები	74.0	84.5	84.5	-	112.0	112.0	-
	სუბსიდიები	74.0	84.5	84.5		112.0	112.0	
05 02 02 05	ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება	55.7	65.4	65.4	-	71.2	71.2	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	10.0	10.0		10.0	10.0	
	ხარჯები	55.7	62.4	62.4	-	71.2	71.2	-
	სუბსიდიები	55.7	62.4	62.4		71.2	71.2	
	არაფინანსური აქტივების ზრდა		3.0	3.0		-		
05 02 02 06	აშუგის სკოლის ხელშეწყობა	30.7	34.6	34.6	-	41.5	41.5	-



	მომუშავეთა რიცხოვნება	-	7.0	7.0	-	7.0	7.0	-
	ხარჯები	30.7	34.6	34.6	-	41.5	41.5	-
	სუბსიდიები	30.7	34.6	34.6	-	41.5	41.5	-
05 02 02 07	მომავლის სახლის ხელშეწყობა	77.4	101.2	101.2	-	101.4	101.4	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	15.0	15.0	-	15.0	15.0	-
	ხარჯები	77.4	100.6	100.6	-	101.4	101.4	-
	სუბსიდიები	77.4	100.6	100.6	-	101.4	101.4	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	0.6	0.6	-	-	-	-
05 02 03	საინფორმაციო პროგრამა	56.9	62.8	62.8	-	65.8	65.8	-
	ხარჯები	56.9	62.8	62.8	-	65.8	65.8	-
	საქონელი და მომსახურება	56.9	62.8	62.8	-	65.8	65.8	-
05 02 05	ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა	-	7.0	7.0	-	7.0	7.0	-
	ხარჯები	-	7.0	7.0	-	7.0	7.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	7.0	7.0	-	7.0	7.0	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,787.9	1,999.8	1,999.8	-	2,054.8	2,054.8	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	23.0	23.0	-	23.0	23.0	-
	ხარჯები	1,787.9	1,995.1	1,995.1	-	2,054.8	2,054.8	-
	სუბსიდიები	304.0	326.0	326.0	-	377.7	377.7	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,418.2	1,622.7	1,622.7	-	1,622.5	1,622.5	-
	სხვა ხარჯები	65.7	46.4	46.4	-	54.6	54.6	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	4.7	4.7	-	-	-	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	304.0	330.7	330.7	-	377.7	377.7	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	23.0	23.0	-	23.0	23.0	-
	ხარჯები	304.0	326.0	326.0	-	377.7	377.7	-
	სუბსიდიები	304.0	326.0	326.0	-	377.7	377.7	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	4.7	4.7	-	-	-	-
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს	304.0	330.7	330.7	-	377.7	377.7	-



	უზრუნველყოფა							
	მომუშავეთა რიცხოვნება	-	23.0	23.0		23.0	23.0	
	ხარჯები	304.0	326.0	326.0	-	377.7	377.7	-
	სუბსიდიები	304.0	326.0	326.0		377.7	377.7	
	არაფინანსური აქტივების ზრდა		4.7	4.7		-		
06 02	სოციალური დაცვა	1,483.9	1,669.1	1,669.1	-	1,677.1	1,677.1	-
	ხარჯები	1,483.9	1,669.1	1,669.1	-	1,677.1	1,677.1	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,418.2	1,622.7	1,622.7	-	1,622.5	1,622.5	-
	სხვა ხარჯები	65.7	46.4	46.4	-	54.6	54.6	-
06 02 01	სასწრაფო შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯი	463.0	662.4	662.4	-	682.0	682.0	-
	ხარჯები	463.0	662.4	662.4	-	682.0	682.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	463.0	662.4	662.4		682.0	682.0	
06 02 03	ახალდაბადებულების დახმარება	148.3	180.0	180.0	-	200.0	200.0	-
	ხარჯები	148.3	180.0	180.0	-	200.0	200.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	148.3	180.0	180.0		200.0	200.0	
06 02 04	ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის	659.4	620.0	620.0	-	605.5	605.5	-
	ხარჯები	659.4	620.0	620.0	-	605.5	605.5	-
	სოციალური უზრუნველყოფა	659.4	620.0	620.0		605.5	605.5	
06 02 05	ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად	79.7	49.7	49.7	-	59.6	59.6	-
	ხარჯები	79.7	49.7	49.7	-	59.6	59.6	-
	სოციალური უზრუნველყოფა	14.0	20.0	20.0		20.0	20.0	
	სხვა ხარჯები	65.7	29.7	29.7		39.6	39.6	
06 02 06	მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ფასიანი სწავლების დაფინანსება	52.3	57.0	57.0	-	50.0	50.0	-
	ხარჯები	52.3	57.0	57.0	-	50.0	50.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	52.3	40.3	40.3		35.0	35.0	
	სხვა ხარჯები		16.7	16.7		15.0	15.0	



06 02 10	ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად	81.2	100.0	100.0	-	80.0	80.0	-
	ხარჯები	81.2	100.0	100.0	-	80.0	80.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	81.2	100.0	100.0	-	80.0	80.0	-

თავი IV. მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 20. ასიგნებების დაფინანსება

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 21. ასიგნებების გადანაწილება

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 22. კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება

2025 წლის განმავლობაში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 23. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.



მუხლი 25. დავალიანებების ანაზღაურება

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 02 02-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2025 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 26. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 298,2 ათასი ლარი მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 292 700 ლარი. იძულებით გადაადგილებულ პირები – დევნილების ფინანსური დახმარებისათვის 5 500 ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 27. სარეზერვო ფონდი

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 300,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

